№ 59. 19 მარტი, ხუთშაბათი. 1866 – 1881 19 მარტი, ხუთშაბათი. № 59.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე [illegible] მოკრებულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**თავადი ზაალ დავითის-ძე ხერხეულიძე** მეუღლით, გულითადის მწუხარებით აუწყებს რა გარდაცვალებასა მისის ნათესავის არტილერიის პოდპორუჩიკის **თ. ლევან ედიშერის-ძის ხერხეულიძისა**, ჭრილობისაგან, რომელიც მიიღო გეოქ-თეფეს აღების დროს, სთხოვენ მშობელთ, ნაცნობთ და თანა-მომსახურეთ მიცვალებულისა, მობრძანდნენ ქ. მშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც იქნება გარდახდილი პანაშვიდი, პარასკევს 20 მარტს, დილის 11 საათზედ.

ცალკე ნომრები
## „დროებისა“

თფილისში ისყიდება: შავერდოვის გაზეთის საგენტოში, აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში და თვითონ რედაქციაში (პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კანდუქტორებთან.

## ტელეგრამმები

ხალხთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

**პეტერბურღი**, 17 მარტს. „მმართებლობის მოამბეში დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება შინაგან საქმეთა მინისტრისა: რადგან გაზეთმა „Молва“-მ მე-72 ნომრის წინა სტატიითა და შემდეგის მე-73 ნომრის წინა სტატიით, რომელსაც ჰქვია სახელად „За Недѣлю“ და გაზეთმა „Петербургскія Вѣдомости“ № 72-ში დაბეჭდილის ფელეტონით დაარღვიეს ის განკარგულება, რომელიც 5 მარტს გამოეცხადა უცენზურო გაზეთების რედაქტორებს, ამის გამო ერთის თვით შეჩერებულ იქმნას გაზეთების „Молвы“-სა და „Петербургскія Вѣдомости“-ის გამოცემა.

გერმანიის ტახტის მემკვიდრე და ავსტრიის ერც-გერცოგი კარლ ლიუდვიგი გუშინ წავიდნენ პეტერბურღიდამ.

**პეტერბურღი**, 17 მარტს. ფოჩტისა და ტელეგრაფის სამინისტრო, სასულიერო საქმეებისა და უცხო სარწმუნოებათა დეპარტამენტი, უმაღლესის ბრძანებით ხელ-ახლად შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუერთდება.

ხელმწიფე იმპერატორმა ისაუბრა დღეს ყველა დეპუტაციები. პოლშის დეპუტაციას მიეცა ბრძანება, რომ რამდენიმე დღეს დარჩეს პეტერბურღში.

დღეს ბოლგარიის მთავარი საზღვარგარეთ წავიდა.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზისძე დღეს თფილისში წავიდა.

**პეტერბურღის ბირჟა**, 17 მარტს.
(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 96 — | „ |
| მეორესი — — — — — | 93 — | „ |
| მესამესი — — — — — | 93 — | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 — | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 92 — | 12 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92 — | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 92 — | 12 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი -- | 7 — | 94 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ — | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224 — | 25 |
| მეორე სესხის — — — | 216 — | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 — | 65 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 210 — | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 261 — | 12 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 — | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## ხელმწიფის მიცვალების ამბავი.

— პირველ მარტსვე, როდესაც მოხდა შესაძრწუნებელი მკვლელობა, იწერებიან ნემცურ გაზ. „*National Zeitung*“-ში, სასახლეში შეიყარნენ მინისტრები. მიმავალი საქმეების წარმოება გარდაეცა გრაფ ლორის-მელიქოვს. სახელმწიფო რჩევამ გარდასწყვიტა გამოიხმოს გუბერნიებიდამ დეპუტატები მოსალაპარაკებლად ეხლანდელ საქმეების მდგომარეობაზედ.

— გაზ. „Новость“-ში სწერენ: თებერვალში ჩამოხტა პეტერბურღში ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელსაც მეტი სახელი დაურქმევს „მილორდი“; ეს იყო ერთი უმთავრესთაგანი წევრი და წინამძღოლი რევოლიუციურ პარტიისა და ასაფეთქ ყუმბარებით მოქმედების მომხრე. პოლიცია გულ-მოდგინეთ დაეძებდა მას და 27 თებერვალს დაიჭირეს ის და პეტრე ივანოვი, რომელიც აღმოჩნდა ტერორისტი ანდრია ჟელიაბოვი. —

გაზეთებში იწერებიან, რომ კობოზევი, რომლის დუქნიდამაც პატარა ბაღის ქუჩის ქვეშ თხრილი იყო გაყვანილი, ცოლით დაიჭირეს კრონშტატში.

<დროების> ფელეტონი, 19 მარტს.

### უპატრონო პავლე. *)

მოთხრობა კლადელისა.

(დასასრული*)

ნათქვამია: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ფრანცუზებსაც ასე მოუვიდათ, ისინი ერთს ფიქრობდენ და ნაპოლეონი კი სულ სხვას. ზოგჯერ კაცი ფიქრობს წასვლას სხვა ქვეყანაში სავაჭროთ და ამის მაგივრად კი თოფს ხელში აძლევენ და ისტუმრებენ სამზღვრისკენ, კიდევ კარგი თუ დედა-ქალაქს ან იმის მაზრას არ მოშორდება.

პავლეს ბედი სწორედ ასე დატრიალდა. მეორე წელს ერთხელ ჯარს მოუძღვოდი და ის შემხვდა ტიულერის სასახლის წინ. პავლეს გვერდით მოსდევდა ერთი ლამაზი, ყოჩაღი ყმაწვილი, იმისთანავე ტანისამოსით და სწორედ იმისთანავე თოფით მხარზე. ამათ მოჰყავდა ათიოდე ნემეცის ჯარის კაცები ტყვეთ წამოყვანილი. ამ ხელათ მოგროვილ მსროლელებს

*) „დროება“ № 58.

შუა, როგორც მერე შევიტყე, პავლე იყო იმათი საჩინო.

— გამარჯვება, ჩვენებურო!

პავლე მობრუნდა გამტვერიანებული, თოფის წამლისაგან გაშავებული სისხლით გასვრილი და სახე ორ-სამ ადგილას დაკაწრული ჰქონდა. დამინახა თუ არა მომვარდა და თან ჰაერში მაღლად იქნევდა ჩაჩქანს, რომელიც თავის ხელით მოეხსნა მოკლულ აფიცრისაგან. წრფელი, სოფლური სახე გარშემორტყმული ხუჭუჭი ქერა თმით, გვაგონებდა ეხლა მამაც მოლაშქრეს.

— ღმერთსა ვფიცავ, წაბლის გაყიდვა უფრო მომწონდა! წამოიძახა იმან.

— მაგას რაღა თქმა უნდა; მაგრამ მომილოცავს, კარგათ ასრულებ შენს მოვალეობას.

— დიახ, ღენერალ ტროშუზე უკეთესად.

— რასაკვირველია, ეგ პატივცემული მოძღვარი შორს წავიდოდა, ყური რომ დაეგდო თავის მრევლისოვის, მაგრამ იმის განძრახვა...

— ისე ჩაიშლება, როგორც წაბლი ცეცხლზე. ჩვენ მაინც და მაინც ვიშოვეთ რესპუბლიკა და ახლა ვეღარავინ წაგვართმევს იმას.

— ან არა და ჩვენც თან დავილუპებით! წამოიძახა გვერდით მდგომმა, წმინდა, სუფთა, კარკარის ხმით.

მოვიხედე და დავინახე ლამაზი ქალი სამხედრო ტანისამოსით.

— ერთი დასტკბით ამის ყურებით! სთქვა ამაყათ ჩემმა ახალ-გაზდა მეგობარმა: — ქვეყანაზე არავინ არ არის ამაზე კარგი. ეს არის ვირჟინი.

როგორც ნამდვილი პარიჟის შვილი, მეწვრილმანე საბურის ქალი, თუმცა ჯერ არ დასრულებულიყო, მაგრამ მართლადაც მშვენიერი და მიმზიდველი იყო თავის გამბედავ, მამაცურ მიხრა მოხრით, პატარა მოკლე აზზეკილი ცხვირით, ორი სამაცდურო ხალით ზემო ტუჩზე და ოეთრი კბილებით. იმის პატარა მწვანე თვალები ზურმუხტსავით ბრჭყინავდნენ, თეთრ შუბლს გარშემო ეტყა მოწითანო თმა.

— ეგ შენი საცოლეა?

— დიახ, ლამაზი არ არის თუ?

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა.

— და თუ ჩვენ დავქორწილდებით, განა, შიში არ არის, რომ მახინჯი შვილები გვყავდეს! წამოიძახა ვირჟინიმ. — ჩვენი პაწაწა შვილები ყოჩაღები იქნებიან და თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენთან ერთად სისხლსაც დაჰღვრიან. რა უყოთ, ჩვენი მოდგმა ესეთია ქუჩაში სიკვდილს უფრო ვირჩევთ, ვიდრე მხარზე წამოწოლას! ზული როგორღაც მეუბნება, რომ მე და პავლე თავს შევწირავთ რესპუბლიკას და სადმე ქუჩაში მოვკვდებით. ამ სიკვდილს რა შეედრება! აბა ჩემო პაწიავ, წავიდეთ.

პავლემ ხელით უჩვენა, რომ ის წინ წასულიყო და ვირჟინი მაშინვე მოეწია თავის მოძმეებს, რომელნიც ერთ სასახლის წინ, რივოლის ქუჩაში, შედგნენ.

— ვშიშობ, რომ ეგ წინასწარმეტყველი არ იყოს, თქვა პავლემ და თან სიყვარულით თვალს ადევნებდა თავის საცოლოს. — როცა ნემეცებს თავიდამ მოვიშორებთ, მაშინ ჩვენ შინაურ მოწინააღმდეგე კაცებს უნდა ანგარიში გაუწმინდოთ, რადგან მოსვენებას არ გვაძლევენ.

— ეგ ხომ უბედურება იქნება! ურთიერთ ჩხუბით ხომ იმასაც დავკარგავთ, რაც აქამდის ვიშოვეთ. საწამ ზევრ ტანჯვას არ გამოვივლით, ეგ არ უნდა გავბედოთ.

ამაზე იმან გაცხარებით დამიწყო ახსნა, რომ ჩვენი მართველები უფრო ტესად თავიანთ საკუთრებაზე ფიქრობენ, ვიდრე მტრის თავიდამ მოშო-

— პირველ მარტის შემთხვევას ბევრზედ ისეთი ზედ-მოქმედება ჰქონია, რომ პროფესორი მერჟეევის გიჟების საავათმყოფოში ათი კაცი შეუყვანიათ ჭკუიდამ შეშლილები.

— ნემცურ გაზ. „*Presse*“-ში სწერენ, რომ ვითომ იმპერატორ ალექსანდრე III მთელი სახელმწიფოს მმართველობა გარდაეცეს გრაფ ლორის-მელიქოვისათვის, და ამ გვარად გრაფი დასავლეთ ევროპის სიტყვით გახდა კანცლერიო. თუ ეს მართალია, უმატებს გაზეთი, ახალი იმპერატორი, არამც თუ ასცილდება მისი მშობლისაგან ამორჩეულ გზას, არამედ უფრო მჭიდროთ დაადგება მასაო.

— გაზეთი *France*-ი პირველი მარტის შემთხვევაში ბრალს სდებს განსვენებულ ხელმწიფესთან მყოფ წარჩინებულთ პირთ, რომელნიც მას უშლიდენ სისრულეში მოეყვანა თვისი განზრახული რეფორმები, და ამ გვარათ ეს წარჩინებულნი პირნი ნიგილისტების საქმეს ხელს უწყობდნენ.

— გაზ. „გოლოსის“ რედაქცია იღებს ხელის-მოწერას ეკკლესიის ასაგებად იმ ადგილზედ, სადაც ხელმწიფე იმპერატორი მოჰკლეს.

— პოლიციას დაუტუსაღებია ერთი ყმაწვილი ქალი, ეკატერინე II ძეგლთან, რომელიც აღიარებდა მწუხარებას, რომ პატარა ბაღის ქუჩაზე აღმოაჩინეს მომზადებული ასაფეთქი თხრილები. თუმცა ეს ყმაწვილი ქალი ხელში ეჭირათ პოლიციელებს, მაგრამ მაინც იძახდა თურმე, რომ ეს თხრილი უკანასკნელი არ არისო და მსხვერპლებიც იქნება კიდევაო.

— „გოლოსში“ სწერია, რომ გამოძიება 1 მარტის შემთხვევაზედ, შეუსრულებიათ და გარდაუციათ კიდეც პროკურორის თანაშემწის მურავიევისთვის, რომელსაც მინდობილი აქვს გამამტყუვნებელ აქტის შედგენა. ესვე მურავიევი იქნება პროკურორად სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

როგორც ამბობენ, სამართალში არიან მიცემულნი ოთხი დამნაშავენი და განირჩევა სამი ბოროტ-განზრახული მოქმედება. ბრალდებულთა სკამებზედ იქნებიან: რისაკოვი, რომელიც გამოტყდა, რომ ხელმწიფეს ესროლა ყუმბარა; ანდრია ჟელიაბოვი, 27 თებერვალს დატუსაღებული, გამოტყდა 1 მარტისათვის შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებაზე; ტიმოთე მიხაილოვი, რომელმაც ურჩობა გაუწია პოლიციელებს და რამოდენჯერმე ესროლა მათ რევოლვერი და ქალი ჰესსე ჰელფმანი, მდგომი ნავროცკისთან, რომელმაც თავი მოიკლა, როდესაც მივიდნენ იმათ სახლის გასაჩხრეკად. ხელმწიფის მკვლელობის გარდა განირჩევა კიდე შემდეგი სამი დანაშაულობა: ტელეჟნის ქუჩაში იარაღით ურჩობის გაწევა, მინის გაყვანა პატარა ბაღის ქუჩის ქვემოთ და აფეთქება 1 მარტს, რომლითაც მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე პირი. ყველა ეს დანაშაულებები ერთობ მჭიდროთ არიან შეკავშირებული და ამისათვის ყველა ზემო ხსენებულნი პირნი დამნაშავენი არიან ხელმწიფის მკვლელობაში.

## ახალი ამბები.

—

თავის გუშინწინდელს სხდომაში ქალაქის რჩევამ ერთი ისეთი საქმე გარდაწყვიტა, რომელსაც, უეჭველია, ქალაქში პურის გაიაფებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ჩვენ ვამბობთ იმ პურის საცხობ მაშინის იჯარით გაცემაზედ, რომელიც თვითონ ქალაქმა გააკეთა თავის ხარჯითა და რომლის შემწეობითაც იმდენი პურის გამოცხობა შეუძლიან, რომ თითქმის ნახევარ ჩვენი ქალაქის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

ამ პურის საცხობ მაშინის გამართვას კიდევ ის მნიშვნელობა ექნება, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის მეფურნეები ხშირად პირს აძლევენ ერთმანეთს და ერთბაშათ სპობენ პურის ცხობას, თუ ტაქცია მოუკლეს; ამ შემთხვევაში ქალაქის პურის საცხობი მაშინა დააკმაყოფილებს მცხოვრებლების აუცილებელ საჭიროებას.

***

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ვერის უბანში მყივანა-ხველა გავრცელებულა და ბევრი ბავშები არიან ავათაო. ამ დღეებში, სხვათა შორის, ერთს ოჯახში ორი ბავშვი მოუკლავს ამ ავათმყოფობას.

ურიგო არ იქნება, რომ პოლიციამ და ქალაქის ვამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ერთი საკუთარი ექიმი დანიშნოს ამ ავათ-მყოფობის ყურის-საგდებელად.

***

როგორც ჰხედავთ, წელს ერთობ სუსტი, თბილი ზამთარი იყო ჩვენში და ეს გამოცდილებით ვიცით, რომ ამ გვარ ზამთარს თითქმის ყოველთვის ცუდი, ცხელი... ზაფხული მოსდევს. მაშ სადამე მოსალოდნელია, რომ წელს სხვა-და-სხვა ავათმყოფობა გავრცელდეს ჩვენს ქალაქში.

ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ ქალაქის გამგეობამ ახლავე მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და იხმაროს შესაფერი საშვალება ქალაქის გასუფთავებისა და გაჯანმთელებისათვის.

***

მოგეხსენებათ, რომ ხელმწიფის გასვენების დროს მოსკოვიდამ ჩაიტანენ ხოლმე პეტერბურღში ყველა რუსეთის ხელმწიფების გვირგვინებს, აგრეთვე სკიპტრას და სხვა საიმპერატორო კუთვნილებას. ახლაც, როდესაც მიცვალებულის ხელმწიფე-იმპერატორის გვამი საზამთრო სასახლიდამ პეტრე-პავლეს ციხის ეკკლესიაში გაუსვენებიათ, ყველა ეს მოსკოვიდამ ჩამოტანილი საიმპერატორო კუთვნილება სხვა-და-სხვა ღენერლებს მიჰქონდათ თურმე ხავერდის ბალიშებზე და ოქროს ხონჩით; ამათ შორის, როგორც გაზეთებში არის მოხსენებული, ღენ.-ადიუტ. სვმეკას მიჰქონდა თურმე საქართველოს სამეფო გვირგვინიც.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბ. რედაქტორო! ორი წერილი იყო წელს დაბეჭდილი გაზეთში: ერთი გუბელი გლეხების და მეორე თ. ნიჟარაძეებისა.

მკითხველს უთუოთ მოაგონდება თუ რავდენი უმართლო ძლევისაგან

---

რებაზე; ამტკიცებდა, რომ ხალხმა დიდი ხანია გადასწყვიტა, როგორც იმათი თავიდამ მოშორება, აგრეთვე იმათგანვე სასარცხვინოთ დაარსებულ იმპერიის დაცემა, და რომ უნდა შემოიღონ სამუდამოთ მშვიდობიანობა, თავისუფლება და კეთილ-დღეობა. გაკვირვებით უგდებდი ყურს ამ ახალგაზდას; ამან რიგიანათ არც კი იცოდა წერა-კითხვა და მე კი მომიყვა იმ პროგრამმის ახსნას, რომელსაც სჯიდნენ სუყოველ საღამობით ათას კლუბებში და დღითი იმ ლაშქართსადგომში, საცა უფრო ბეჯითად თვალს ადევნებენ შინაურ გაიძვერა მტერს, ვიდრე უცხო ხალხის მოქმედებას.

აღტაცებაში მოვდიოდი, რომ პარიჟს ასეთი ძრიელი ძალა ჰქონდა და ამისთანა უმნიშვნელო ვისმეს სულს ჩაუდგამდა. ეს გაუნათლებელი ყმაწვილი, რომელსაც რიგიანად არც კი ესმოდა თავის სიტყვები, დღეს იყო სწორედ მშვენიერი მოუბარი ორატორი და ხვალ, ვინ იცის, გმირათაც გამხდარიყო.

— არა, არას დროს! წამოიძახა იმან და მიმახედა იქით მხარეს, საცა „თავისუფლების ანგელოზი“ დასტრიალებდა იმ ადგილს, რომელზედაც ოდესმე იდგა ბნელი და საშინელი ბასტილია *): — ჩვენ ეხლა აღარ მოვტყუვდებით! ან უნდა გავიმარჯვოთ და ან უნდა თავი შევაკლათ, — აი ჩვენი პირობის სიტყვა და ამას თავის დღეში არ გადუდგებით.

მერმე თითქმის მატირა შემდეგ მოთხრობით.

ერთ ცხარე საქმის შემდეგ ის ციხიდამ დაბრუნდა ქალაქში დაღალულდაქანცული, დაჭრილი, და მოულოდნელად დაესწრო ხალხის ყრილობაზე, საცა მოთავეთ იყო ჩვენი დიდებული ლომერი — ვიქტორ ჰიუგო. პოეტისთვის შეუძლებელი იყო მიეკრა გულზე ის გროვა ხალხი, რომელიც ამას ისე აღტაცებით დაუხვდა და გადაკოცნა ძმურად მხნე შვილები, იმ დაჩაგრულებისა, რომელთ გამოსასარჩლებლათ არა ზოგავდა თავის ნიჭს. წარჩინებულმა „საბრალონის“ დამწერმა, სუყველას მაგიერად, ორჯერ გადაჰკოცნა ეს ახალ-გაზდა მეომარი: უეჭველია ეს ყმაწვილი აქ სუყველაზე უმეცარი იყო და თავის დღეში არ წაეკითხა არც ერთი იმის განთქმული თხზულება.

— ჩემ დღეში არ დავივიწყებ ამ კეთილ-შობილურ კოცნას! სთქვა პავლემ, გამომესალმა და საჩქაროდ გასწია.

ძველთაგანვე ნათქვამია ფრანცუზულებზე, რომ ესენი არიან სხვებზე უფრო მამაცნი, შეურყეველნი, სიყვარულის ერთგულნი და თავ-განწირულნი თავისიანებისთვის. ეს ისევე მართალია, როგორც ის ნათქვამი, რომ ხალხის ზნე და თვისება თავის დღეში ერთი და იგივე რჩება: როგორნიც წინაპარნი არიან, ისეთნიც შთამომავალნი იქნებიანო.

მართლადაც, ფრანცუზები უკან არ ჩამოუდგნენ თავიანთ წინაპარ ხალხს. ის სირცხვილიც კმაროდა პარიჟისთვის, რომ უცხო მტერი შეესია; ეხლა ამ ქალაქის ერთ წვერიდამ მეორემდის ატეხილი იყო საშინელი ბრძოლა ქალაქელსა და სოფლელს შუა, ფრანცუზი ფრანცუზს უღერდა ხმალს. ნემეცები, გარეტიანებულნი გამარჯვებით, დასცქეროდნენ მონმარსის მთიდამ, როდესაც ცეცხლი ეკიდებოდა იმ გმირ-ქალაქს, რომელიც ამათ არ დაემორჩილა...

ბრძოლა ურთიერთ შუა თითქმის გათავდა, მარტო ბელვილთან ორ-სამ ადგილას ბარრიკადები კიდევ იყო ამართული; ოციოდ დარჩენილი მამაცი მებრძოლეები ხმარობდნენ უკანასკნელ ძალას. ერთი ბარრიკადი იყო მკვდრებით და დაჭრილებით მოფენილი; მაგრამ ამის დამცველებს ათჯერ მეტად უკუეგდოთ იერიშით მოსული მტერი, თუმცა ზარბაზნის ტყვია სეტყვასავით მოდიოდა. ამათში დარჩენილიყვნენ რვა თუ ათი კაცი და ერთი ქალი; თოფის წამალი გამოელიათ, მაგრამ გაქცევა ფიქრში არავის მოსვლია. გამარჯვების იმედი აღარა ჰქონდათ და სუყველას უნდოდა სიკვდილს მამაცათ დახვედროდა. ქალი, გაღელილის გულით და თმაგაწეწილი ამხნევებდა თავის მოძმეებს.

— ძმებო, უყურეთ, ისინი კიდევ ბრუნდებიან. სთქვა ამ ქალმა: ეგ ის ჯარის კაცები არიან, რომელთაც ჩვენ გვერდითვე იმდენი უმანკოები დახვრიტეს. აბა, ვიხმაროთ ერთი კიდევ ძალა!

— დაეხსენ, მოვიდნენ! ვინც პირველად გამოჩნდება, აქვე წავაწყვნ! წამოიძახა ვიღამაც ყრუდ. ამ გროვა მკვდრებიდამ და დაჭრილებიდამ წამოიწია ასადგომათ ერთი ახალგაზდა

---

*) ციხე, საცა ატუსაღებდნენ მმართებლობის მოწინააღმდეგე კაცებს. პირველ რევოლიუციის დროს, 1789 წელს, აჯანყებულმა ხალხმა დაანგრია.

ადუღებული სისხლი იყო თვითეულ გლეხების სიტყვაში?

Თ. ნიჟარაძეები ზღაპრივით მიყოლიან და ერც ერთი ფაქტი, არც ერთი სიტყვა არ მოჰყავთ თუ რისთვის არიან გლეხები დევნილნი, და რისთვის აგდებენ მათ იმისთანა კაცის ხელში როგორიც მე ვარ, ნიჟარაძეების ჰაზრით; მაგიერათ თ. ნიჟარაძეები სულ ჩემ—ზნეობაზე მსჯელობენ და აი რა გვარად იწყებენ ბაასს:

„Დაილოცა ის დრო, როდესაც სინიდისს, პატიოსნებას და სიმართლეს ქონდა ჩვენს ქვეყანაში უპირატესი ადგილი.“ Და დასამტკიცებლად ჩემის უზნეურობისა, მოჰყავთ შემდეგი:

1) „Დარახველიძემ ექიმს ავათმყოფობის მოწმობა გამოტყუა და ის კი კარგათ იყო.“

2) „Დარახველიძემ იშოვა საქმის დაფარვის უფლება, როცა თავ მსხდომარე იყო ავათ“ და სხვ.

Ვინც კი იცნობს ექიმს Იუხნოვიჩს რომელმაც მოწმობა მომცა 1875 წელში, მაზედ რომ მე ხონს წასვლა არ შემეძლო ავათმყოფობის გამო, არ იტყვის, რომ ცრუ მოწმობა იყო. მაგრამ რა გაემტყუნებათ თ. Იოსებ და Ოტია ნიჟარაძეებს, რომ არ იციოდნენ ამ გვარი ჭეშმარიტება და ვერც ის წარმოიდგინონ, რომ კაცს მისთანა ავათმყოფს, როგორც მე ვიყავი, იმ დროს (**воспоменіе подреберной плевы**) შეუძლია ქუთაისში იაროს, სასამართლოშიაც შევიდეს მაგრამ მე ორმოც-და-ათ ვერსზე ხონის გზით იქით-აქეთ მისვლა-მოსვლა კი ვერ შეიძლოს.

Ნეტავი თუ იციან ნიჟარაძეებმა, მაქებენ თუ მაძაგებენ, როდესაც ლაპარაკობენ: Დარახველიძემ მიიღო საქმის დაფარვის უფლება არა თავსხდომარისაგან, არამედ მთელი სამსაჯულო კრებისაგანო.

3) „რომ Დარახველიძე არა, თ. ნიჟარაძებს და გლეხებს დავა არ შეუდგებოდათ.“

4) „Გლეხები Დარახველიძის სასარგებლოდ ჰყიდიან ოჯახის სამკაულებს.“

5) „რომ Დარახველიძე არა, ამდენს ხანს მხარეები გარიგდებოდნენ.“

6) „Გლეხები არიან Დარახველიძის მეზობლები, ნაყმევები და ამისათვის უჯერიან.“

7) „Დარახველიძე გლეხებს ატყუებს საქმის მოგებას და სხვ...

Და აი ამაზედ რას მოვახსნებთ ბ. ნიჟარაძეებს:

Შეიძლება ვლეხებს ხელიც აეღოთ მათს საკუთარ სადავო ადგილზე, რომ ყველა ვიქილებს ეთქვათ: ნიჟარაძეების ძალასთან სიმართლეს ადგილი არ ექმნებაო და ნუღა ედავებითო. Და სულ ყველა ვექილები ნიჟარაძეების ლიბერალურ მხარეს დაიჭერდნენ ისრე, როგორც Ქუთაისის ვარდის კონებმა Ლ-უამ და Ს—ვმა დაიჭირეს, მე განა იმათთვის უნდა მიმებაძა და არ უნდა მქონოდა ჩემი საკუთარი აზრი, ის რომელიც ნიჟარაძეებს არ მოსწონს.

Მართალია, გლეხები ოჯახის სამკაულებს (მით უმეტეს მეტი სირცხვილი თ. ნიჟარაძეებს) საბუთების პირის გამოსატანათ, გარდაწერისათვის, Თფილისში, Ქუთაისში მიმოსვლის ხარჯისათვის და სხვ... ჩემზედ ბრძანებენ: „ჯიბეს იტენისო.“ Ნუ დაივიწყებთ, რომ თუ ამ გვარების შნო მქონდეს თ. Ოტია და Იოსებ ნიჟარაძეებისაგან უფრო მეტს ვიშოვი მე რომ მათი საქმეები ვიცი.—

Ვასახელებ მოწმეებათ ხონის მსაჯულს, პრისტავს ბ. Ჯაფარიძეს და თვით მომჩივანს თ. ნიკოლოზ ნიჟარაძეს შემდეგ საგანზე: 1) Გლეხებმა მისცეს ბ. ნიჟარაძეებს ორი გარიგების სადავე? 2) Გლეხები დიდი და პატარა იფიცავდა თავის სიმართლეს? 3) Გლეხები თხოულობდენ სინიდისიერს სამსაჯულოს? Და 4) რომ გლეხები ამ პირობებს არ შეშლიდნენ, მე Დარახველიძემ, ვაძლიე თავდებათ ათი-ათასი მანეთის ვექსილი? (Მცარე წლოვანები არ შედიოდენ პირობაში).

Არა, ბატონებო, ნიჟარაძეების გარიგება ამ გვარია: გლეხებმა მათი ადგილი უნდა დატოვონ და მათ ბრწყინვალების მოწყალებას უყურონ. Არაო, იტყვიან ნიჟარაძეები? Მაშ მოიგონონ თავისი წერილის სიტყვები: „ძველი კაცი“, „ძველი პატიოსნება“. Აი რა ვქმნათ: ავიყვანოთ სამი ძველი პატიოსანი კაცი და იმათ გადაწყვიტონ თქვენი და გლეხების სიმართლე.

Არ ინებებთ?! Განა არ ვიცი!

Გუბის გლეხები არც ყმა ყოფილა ჩემი და არც მეზობელი და ეს მოგონება რისთვის იყო საჭირო არ ვიცი!

Მე სრული დარწმუნებული ვარ გლეხების სიმართლეზე; და ვფიქრობ ამგვარივე აზრის იქმნება ყველა თავიანი კაცი, რომელიც საქმეს გაეცნობა. Გლეხებს ასჯერ ვუთხარი, აუხსენი და ვეტყვი: თ. ნიჟარაძეებისათვის ადვილია ძალ-დატანებით დაჩაგრონ გლეხების სიმართლე ისრე, როგორც პრისტავთან, მაზრის უფროსთან და სხვა კიდევ ამ მოწმეების დახმარებით, რომელნიც ცნობილნი არიან სამსაჯულო პალატისაგან ცრუ მოწმებათ.

Აბა, ინებეთ, ბ. ნიჟარაძეებო, და მომეცით პასუხი შემდეგზე:

Ა) სულ Გუბის მტევრი, რომელშიაც შედის სადავო ადგილი, თავადის Წულუკიძეების ერთის საბუთით არის ნაბოძები, როგორც ნიჟარაძეებზე, ისრე მოპასუხე გლეხებზედაც და საბუთშიც ასრე სწერია: Გუბის ტევრი ეხლევა ნიჟარაძეებს, გარდა იმისა რაც აქვსთ ხელში მოპასუხე გლეხებს ასი ქცევა თუ მეტი (პირი იგზავნება რედაქციაში). Ასე არის, თუ არ?

Ბ) მაზრის მართველის განჩინებით იგივე Გუბის ტევრი აქვსთ მისჯილი, როგორც თ. ნიჟარაძეებსთ ისრე მოპასუხე გლეხებს, (პირი იგზავნება რედაქციაშიდ) მართალია, თუ არა?

Გ) Თფილისის სამსაჯულო პალატის გარდაწყვეტილებით ნაცნობია: გლეხების ბრალდებულება ნიჟარაძეებისაგან შეთხზულათ, ნიჟარაძეების მოწმები ცრუებათ; და გლეხები Გუბის ტევრში თან მფლობელებათ (პირი იგზავნება რედაქციაში); Ასეა, თუ არა?

Დ) Ერთის საბუთით თვით ნიჟარაძისაგან აქვს მოპასუხე გლეხს ხუთი ქცევა ნასყიდი. (Პირი იგზავნება რედაქციაშიდ) Ასეა, თუ არა?

Ახლა ამასაც გკითხავთ: თხოულობენ გლეხები მეტს, რაც ამ საბუთებშია მხოლოდ თუ არა?

Თქვენის ბედნიერებით, თ. Ოტია და Იოსებ ნიჟარაძეები პირ-და-პირ თვალში შეგვხედავდნენ და ამ კით-

---

მამაცი ყმაწვილი გაყვითლებულის სახით; ყუმბარის ნატეხით მომტვრეული ჰქონდა მუხლები; მხრებზე წამოეგდო ძველი გაცვეთილი წამოსასხამი, რომელზედაც გაკეთებული ჰქონდა ომიანობაში მიღებული მედალი.

— Პავლე!

— რაო, Ვირჟინი!

— Აღარ შეგვიძლიან ბრძოლა; წამალი გამოგველია და მტერი კი მოდის.

— რა საბრალონი არიან ის სულელები!

-- Ამბობენ, ამ ქუჩის ქვეშ ნაღმი არის გაკეთებულიო; არ იცი რომელ მხარეს არის? მინდა ცეცხლი მოუკიდო, დეე, ჩვენც და ისინიც ერთად დავიღუპოთ.

Ატყდა ისეთი საშინელი სროლა თოფისა და ზარბაზნისა, რომ Ვირჟინის არც კი გაათავებინა ლაპარაკი; ის გიჟსავით კორიანტელში დარბოდა ბარრიკადზე, მაღლად იქნევდა დროშას და გაღეღილ გულს უშვერდა მტრის ტყვიას.

— Აჰ! Შესვით სისხლი, თუ გწყურიანთ! Სჭამეთ, თუ მშიერი ხართ, თქვე უტვინოებო!

Და ერთი გიჟივით გადიხარხარა; მერე ყუმბარისაგან დაშავებულ მკერდიდამ მოიგლიჯა ხორცი და მტერს გადუგდო.

— Ბრავო, Ვირჟინი! Ბრავო! Დაუყვირეს ამხანაგებმა.

— Უფრო კარგი, თუ მოვკვდები. Მე და Პავლეს ერთი ბედი გვექნება. Შორიდამ დაუშინეს ზარბაზნები.

Ვირჟინი დაეცა ქვებზე, მაგრამ მაშინვე წამოდგა და საშინლად დაიყვირა:

— Გაუმარჯოს Პარიჟს! Დაიწყევლოს ჩვენი მოწინაღმდეგე!

Ამის შემდეგ სამაგალითო სასჯელი მოელოდა ამათ.

Პარიჟელებმა ადრევე იცოდნენ თავიანთი ბედი. Გაქცევას არა ფიქრობდნენ და გულ-მაგრად მოელოდნენ მტრებს.

Პარიჟელებში ერია ერთი სამოცდა-ათი წლის მხიარული ბებერი მეომარი, რომელსაც 1840 და 1878 წლების არეულობაში მიეღო მონაწილეობა და ამან დაიყვირა:

— ძმებო, ერთი უკანასკნელად კიდევ გამოვასულელოთ ეგ სოფლელები და მერე თავი შევაკლათ.

Ამხანაგები მაშინვე მიხვდნენ იმის აზრს და სუყველამ ერთბაშათ მიიდეს მხრებს გაუტენელი თოფები, თითქო ემზადებოდნენ სროლასაო. Ამ უბრალო, ხუმარა მუქარამ ისე შეაშინა წინდაუხედავი და უმეცარი სოფლელები, მოგროვილნი სუყველა მხრიდამ საბრალო Პარიჟის დასამცირებლად, რომ ესენი მაშინვე აქეთ-იქით მიიმალნენ.

— Თქვე სულელებო! Სად წახვედით! Მოგროვდით, აბა, წინ! Მარშ! Დაიყვირა დიდ ეპოლეტებიანმა ოფიცერმა, რომელსაც ერთ წუთს იმათზე ნაკლებ არ შეეშინდა.

Ამ დროს მეორე ახალგაზდა ოფიცერმა, ახლად კურს-დასრულებულმა დაიყვირა:

— Მოჰყევით სროლას!

Ბარრიკადთან ახლო სახლის ფანჯრიდამ მოჰყვნენ სროლას. Სუყველა ხუმარები დავარდნენ, გარდა ერთი ახალგაზდისა, რომელსაც ალტაცებით მოებღუჯნა ხელში დამბაჩა.

— Დაწყევლოს ღმერთმა ეგენი! Არავის პატიება არ შეიძლება! Ჩქარა ჩავიგდოთ ხელში ბარრიკადი! Თქვა დიდ ეპოლეტებიანმა ოფიცერმა.

Ჯარი ნელ-ნელა მიუახლოვდა დანგრეულ ბარრიკადას, საცა დაგლეჯილი დროშა ჯერ კიდევ ფრიალობდა. Ერთ კედელთან, ბარრიკადის მახლობლივ, დიდ ვამოქცეულ ადგილას, მკვდარ ამხანაგებზე და გვერდით მკვდარ საცოლოსთან წამომჯდარი იყო Პავლე და დამბაჩით ხელში ელოდა ვამარჯვებულებს. Ფიცულობდა, რომ სიკვდილის წინეთ Პარიჟის ერთ მტერს მაინც კიდევ წააწვენს.

Ამ ჯარს უფროსათ მოუძღოდა ერთი ჭაღარა ბებერი საპიორი, მოჭმუხვილი, ჩაფიქრებული და დაღმეჯილი სახით; ეს კაცი ნაღვლიანად და შებრალებით შეჰყურებდა ამ უბედურ მსხვერპლებს.

— Ღმერთო ჩემო! დაიყვირა Პავლემ და დამბაჩა ხელიდამ გაუვარდა:— როგორ ჰგავს Ვიქტორ Ჰიუგოს!

Ამ გულ-ალსაძრავი სიტყვები ჯერ არ შეესრულებინა, რომ ორმა მხედარმა შუბები გულში ჩაურჭეს... Ქეთილ ბერიკაცმა კი კანკალით მუხლი მოადრიკა იმ დიდ გუბე სისხლში რომლის წყალობით ქუჩა მყრალ საყასპოთ გადაქცეულიყო, და ცრემლი დაღვარა იმ ჭაბუკ მკვდარზე, რომელმაც შეიბრალა იმის ჭაღარა თმა.

ა. თ.

ხეის პასუხს მოგვცემდნენ. ოღონდ კი ამ წვალებას გადარჩენ გლეხები და კიდევ მათი წილიდგან დაიკლებენ და თ. ნიჟარაძეების თვალ-უწვდომს ზუბის ტევრს მიადებენ, თუ კი მათ სულ გაუბედურებას არ მოინდომებენ.

სად წავიდა, ბატონებო, ეს გლეხების მიწა? ფეხი ხომ არ ება ნიჟარაძეების ეზოში ჩამხტარიყო? ნუ ვიხმართ ერთ-მხარეობას. მაგრამ ნიჟარაძეების პასუხი ამგვარია „დაიფლეთ და წავართვითო“.

ეხლა ამ უკანასკნელ საგანს რით ამტკიცებენ? მითი კი არა, რომ ადგილი გლეხების ხელში არ იყოო, არამედ მითი, ვითომც გლეხები საბალახეს ჯარიმას აძლევდნენ ნიჟარაძეებს ფულად და ეს იციან კიდევ იმ გვარმა მოწმეებმა, რა გვარებიც ყვანდად სისხლის სამართლის საქმეში.

არ მოსწონთ თავადებს ამგვარი დაჩაგრული გლეხების დაფარვა. ის კი ძლიერ მოსაწონი იყო, როდესაც გლეხები ცრუ-მოწმეების საშუალობით ხელებ-შეკრულნი, მშიერნი ეყარნენ სატუსაღოში დაბა ხონს და მათ ყანებს კი საქონელი აოხრებდა?

დასასრულ ნიჟარაძეები ბრძანებენ: თუ დარახველიძე არ იცნობს თავს დანაშაულად იქიმის მოტყუებაში, გლეხების გაცარცვაში და სხოდის საშუალებით მისგან აპეკუნის დაუდგენელობაშიო, მაშინ ჩვენ წარმოვადგენთ დამტკიცებასო.

აი ჩემი პასუხიც: ვისაც ერთხელ გაუმტყუნეს მოწმები, ის ვერც მეორეთ გაიტანს საქმეს მოყიდულ-მოწმებით.

და რაც შეეხება ნიჟარაძეებისგან ჩემს პირადობის შეხებას, მე მხოლოდ მადლის მოხსენება მიმართებს, რომ მათგან საქები არ გავხდი.

მ. დარასველიძე.

# განცხადებანი

—

პირუტყვთა დამცველი თბილისის საზოგადოების წევრები მოიწვევიან 20 ამ თვეს, საღამოს 7½ საათზედ სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბარიატინსკის სახლებში, ზალში საერთო კრებაზედ. გარეშე პირთაც შეუძლიათ მოსვლა.

სხვათა შორის ამ სხდომაზედ იქნება სვა კომისიისაგან წარმოდგენილს მოხსენებაზედ, რომელიც შეეხება შემდეგ საგნებს:

1). ფოსტის ცხენის ცხოვრების გაცნობა,

2). ცხენების და სხვა პირუტყვის დაჭედაზედ,

3). საქონლის დაკვლაზედ და სასაბლოების თაობაზედ,

4). გამომცემელ კომისიის წევრთა არჩევა,

5). წევრთა დაჯილდოვება და

6). ნ. ეჟენდი უნსი-ზადეს ლექციის წაკითხვა. (3—2)

---

საყმაწვილო წიგნი

## „წყარო“

ანთ. ჯულელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასასყიდლათ ჩარკვიანის, ზრიქუროეის და მართანოვის წიგნის მაღაზიებში.

ქალაქ გარეთ იყიდება: გორში მარ. ქერესელიძესთან, ქუთაისში ზერარდის წიგნის მაღაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ვინც კი ქართული წიგნებით ვაჭრობს.

ფასი ხუთი შაური. ოც ეგზემპლიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დაეთმობა ეგზემპლიარი.

მეორე № „წყაროსი“ გამოვა საალდგომოთ. (3—3)

---

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ამა წლის მარტის 26, შუადღეზე, იმის თანა-დასწრებით დანიშნულ.ია ვაჭრობა (ტორგი) მიწის მუშაობის იჯარით გაცემაზედ ანდრეევსკის, მალაკნებისა და ალექსანდროვსკის ქუჩებს შუა, კუკიაში, სამას (300) მანეთად კუბიკური საჟენის მიწის ამოღება. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (უპრავაში) მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—2)

---

ღვინის სახდელი მაშინები

ინჟინერ-მეხანიკის **გარტ ქ. ფონსპერის სისტემისა**, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზავოდებზე, **მზადდება** თფილისში, მარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე **კარლ ნეიმანთან**. (11—3)

---

დიდ-ძალ საქონლის დასყიდვა

ფაბრიკის ფასებით, **ინგლისის მაღაზაში**, არწრუნის გალერეიაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებელად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—3)

---

პარიკმახერს არსენს ქუთაისში

## კოსმეტიურს

მაღაზიაში

ეს-ეს არის მოუვიდა პარიჟიდამ მრავალი გამამშვენიერებელი ნივთეულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი ახლად მოგონილი თმის საღებავნი: „ოდეცტიტერ“, „ოდალუენს“ და „ოდანგლე“. მშვენიერი წამლები პირზედ დაყრილისა; სხვათა შორის ერთი სახელად „უებარი“, ძალიან ხელ-მისაცამ ფასად.

ვიმედოვნებ, პატივცემული საზოგადოება ჩვენი მაღაზიის მადლიერი იქნეს. (10—4)

---

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია**, არწრუნის გალერეიაში: ღირს სანახავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2υ—17

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში**. საავგუსტო ხარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა აროშატიული ჩაისა დამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან პლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—37

---

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—49)

---

თბილისში დაარსდა კავკასიის დამხმარებული კომიტეტი **სავაჭრო ხელოვნებითის გამოფენისა**, რომელიც გაიხსნება **მოსკოვში** ამ წელს მაისში და რომელის მოვალეობა არის სხვათა შორის მისცეს საჭირო ცნობა გამოფენის შესახებ, როგორ უნდა გაიგზავნოს გამოფენისთვის დანიშნული ნივთები და სხვ. და სხვ. კავკასიაში მცხოვრებ პირთ, რომელნიც კი ისურვებენ ამ გამოფენაზედ თავიანთ ნივთების გაგზავნას.

ამისთვის, რადგანაც ეს გამოფენა ამ მოკლე ხანში უნდა გაიხსნას, დამხმარებელი კომიტეტი საჭიროდ რაცხს შეატყობინოს, ვისაც ამ გამოფენაშიდ მონაწილეობის მიღება სურს (ეკსპონენტებს), რომ რამდენიც შეიძლება დაუჩქარონ გამოფენაზედ ნივთების გაგზავნა; ამასთანავე კომიტეტი აცნობებს შემდეგს:

1) ეკსპონენტებივალდებულნი არიან თავდა-პირველათ შემოიტანონ ორი განცხადება გამოსაფენ ნივთებზედ; ეს განცხადებანი შეუძლიანთ გაგზავნონ დამხმარებელ კომიტეტში; აგრეთვე ერთად ნივთებთან უნდა გამოიგზავნოს სამი სია რამდენი და რა ფასის საქონელი არის (ფაკტურები) თუ ფაკტურა არ იქნა, ნივთები არ მიიღება გამოფენაშიდ.

2) ნივთების გაგზავნ-გამოგზავნა გამოფენაზედ, უმაღლესად დამტკიცებულის გამოფენის წესდების § 20 ძალით, უნდა იქმნეს ეკსპონენტების ხარჯით.

3) ნივთების მიღება დაიწყება 15 მარტს და გაგრძელდება 1 მაისამდინ.

4) ეკსპონენტებს შეუძლიანთ წარმოადგინონ თავიანთი ნივთები პირადად ანუ თავის ვექილებით, ანა და შეუძლიანთ მიანდონ ეს მოვალეობა, დაწესებულის ჯილდოთი, გამოფენის მაკლერებს.

რადგანაც ბევრს კავკასიაში მცხოვრებთ გაუძნელდებათ თავიანთი ნივთების გამოფენაზედ გაგზავნა, ამისათვის დამხმარებული კომიტეტი შუამდგომლობს დაინიშნოს გამოფენაზედ კავკასიიდგამ წარმომადგენლები, რომელთ მოვალეობა უნდა იქნეს იზრუნვონ ნივთების მიღებაზედ და მათ გამოფენაში დალაგებაზე, და, საზოგადოთ უნდა დაიცვან ეკსპონენტების ინტერესები. ამისათვის:

ა) ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთ უფრო ადვილად შეუძლიანთ გაგზავნონ თავიანთი ნივთები გამოფენაზედ პირდაპირ ამ ადრესით: **„въ Москву, въ управленіе Выставкою, въ Кавказское Отдѣленіе“;**

ბ) კასპიის და შავ ზღვასთან ახლო მცხოვრებთ შეუძლიანთ გაგზავნონ ნივთები ზღვით იმავე ადრესით;

გ) დანარჩენებს შეუძლიანთ გამოგზავნონ გამოსაფენი ნივთები ამ ადრესით: **въ Тифлисъ, въ вспомогательный комитетъ выставки, въ Управленіе Государственными Имуществами Главнаго Управленія Намѣстника“** და მასთანავე სიებიც (ფაკტურები) რამდენიც საჭიროა.

5) ვისაც სურს გამოიტანოს განცხადების და ფაკტურების დაბეჭდილი ქაღალდები (ბლანკები) ანუ გაიგოს რომელიმე დაწვრილებითი ცნობები შესახებ გამოფენისა—შეუძლია მიმართოს: **въ Кавказскій вспомогательный Комитетъ въ Тифлисъ, при Управленіи Государственными Имуществами Главнаго Управленія, въ домѣ Вейсенгофа, противъ Католическаго кладбища.**

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი.